

**შეტყობინება მეოთხე
ღმერთის სიტყვები – დვთაებრივი შეწევნა საკვების სახით**

ადგილები წერილიდან: იერ. 15:16; ოჯლ. 8:3; მათე 4:4;
იოანე 5:39-40; 6:50-51, 57, 63; ქოლ. 3:16

I. ვიპოვე შენი სიტყვები და ვჭამე ისინი – იერ. 15:16ა:

- ა. ბიბლიაში თავიდან ჩვენ ვხედავთ ღმერთს, ხოლო შემდეგ – ღმერთის ლაპარაკს, სიტყვას, გამომდინარეს მისი ბაგიდან – დაბ. 1:1, 3; მათე 4:4.
- ბ. მთელი წერილი არის ღმერთის სულით ჩაბერილი; ამიტომ, სიტყვები წერილებში არის სიტყვები, გამოსული ღმერთის ბაგიდან – 2 ტიმ. 3:16.
- გ. ბიბლია როგორც ღმერთის სიტყვა არის ღმერთის, ქრისტეს, სულის და სიცოცხლის განსხეულება – იოანე 1:1, 4; 6:63; 14:6, 17, 20; 15:7; 1 იოანე 1:1; რომ. 8:2.
- დ. ბიბლია როგორც ღმერთის სიტყვა შედგება სამი ელემენტისაგან – ქრისტეს, ქრისტეს სიკვდილისა და ქრისტეს აღდგომისაგან – ფილიპ. 1:20-21; 2:16; 3:10-11; 4:13.
- ე. სიტყვები, წარმოთქმული უფალ იესოს მიერ, – არის სული და სიცოცხლე – იოანე 6:63:
 1. უფლის მიერ წარმოთქმული სიტყვები არის სიცოცხლის სულის განკაცება – რომ. 8:2.
 2. ქრისტე ახლა არის მაცოცხლებული სული აღდგომაში, და სული განკაცებულია მის სიტყვებში – 1 კორ. 15:45ბ; 2 კორ. 3:17; იოანე 1:1, 4; 6:63.
 3. როდესაც ჩვენ ვდებულობთ მის სიტყვებს ჩვენი სულის ვარჯიშის მეშვეობით, ჩვენ ვდებულობთ სულს, რომელიც არის სიცოცხლე – 5:39-40.
- ვ. ღმერთის სიტყვა არის დვთაებრივი შეწევნა საკვების სახით, რათა გამოგვკვებოს ჩვენ – ოჯლ. 8:3; მათე 4:4:
 1. დვთაებრივი წარმოდგენის თანახმად, ღმერთის სიტყვა არის საკვები, რომლითაც ჩვენ ვიკვებებით – 1 კორ. 3:1-2ა; ებრ. 5:12-14.
 2. ღმერთის სიტყვა არის თვით ღმერთი როგორც ჩვენი საკვები – იოანე 1:1, 4, 14; 6:63, 51, 57.
 3. უფალი იესო თვლიდა ღმერთის სიტყვას წერილებში თავის პურად და ცხოვრობდა მისით – მათე 4:4.
 4. ყოველი სიტყვა, გამოსული ღმერთის ბაგედან, არის სულიერი საკვები, რათა გამოგვკვებოს ჩვენ; ეს არის საკვები, რომლის წყალობითაც ჩვენ უნდა ვიცხოვოთ – იოანე 6:51, 57.
 5. სიტყვის, როგორც ჩვენი საკვების, დახმარებით ღმერთი არიგებს ჩვენს შინაგან არსებაში თავის სიმდიდრეებს, რათა ჩვენ ვიყოთ შედგენილი მისი ელემენტით.

- ბ. წმიდა ბიბლიის მთელი გამოცხადების თანახმად, ღმერთის სიტყვები გამოსადეგია საკვებად, და ჩვენ უნდა ვჭამოთ ისინი – ფსალ. 119:103; მათე 4:4; ებრ. 5:12-14; 1 პეტ. 2:2-3:
1. ღმერთს უნდა, რომ ადამიანმა ჭამოს, გადაამუშავოს და შეითვისოს ღმერთი – იოანე 6:50-51, 57:
 - ა) ჭამა ნიშნავს შეხებას რაღაცასთან, რაც არის ჩვენ გარეთ და მათ მიღებას ჩვენში, ისე რომ შედეგად ის ხდება ჩვენი შემადგენლობა – დაბ. 2:16-17.
 - ბ) ჭამა ნიშნავს საკვების მიღებას ჩვენში, რათა ის იყოს ორგანულად შეთვისებული ჩვენი სხეულის მიერ – იოანე 6:48, 50.
 - გ) ღმერთის სიტყვები, როგორც საკვები, რომელსაც ჩვენ ვჭამთ, გადავამუშავებთ და შევითვისებთ, ფაქტიურად ხდება ჩვენი; სწორედ ასე სიტყვა ხდება ჩვენი შემადგენლობა – მათე 4:4; კოლ. 3:16.
 2. ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვკითხულობთ ბიბლიას, ჩვენ უნდა მივიდეთ უფალთან სიცოცხლისათვის და ვჭამოთ სიცოცხლის პური, რომელიც არის თვითონ ქრისტე – იოანე 5:39-40; 6:48, 50-51, 57.
 3. ვჭამოთ უფალი როგორც სიტყვა – ნიშნავს მივიღოთ ის ჩვენში როგორც ჩვენი სასიცოცხლო შეწევნა; ის არის ჩვენთვის სიცოცხლის პური, რომელიც ჩვენ შეგვიძლია შევჭამოთ – მუხ. 48, 51.
 4. იმისათვის, რომ ვჭამოთ უფალი, საჭიროა ვიღოცოთ სიტყვით; ლოცვით წავიკითხოთ ღმერთის სიტყვა – ნიშნავს ვავარჯიშოთ ჩვენი სული იმ მიზნით, რომ ვჭამოთ სიტყვა – ეფეს. 6:17-18.
 5. რაც უფრო მეტად შევჭამო ღმერთის სიტყვებს, უფრო მეტად შევდგებით და გავიჟდინოთ ქრისტეთი – გალ. 4:19; ეფეს. 3:17; კოლ. 3:4, 10-11.
 6. მასთან ერთად, რაც ჩვენ ვჭამთ უფალ იესოს, ჩვენთვის აუცილებელია სათანადო სულიერი მონელება – ეზეკ. 2:8-3:3; იერ. 15:16; გამოცხ. 10:9-10:
 - ა) თუ ჩვენ გვექნება კარგი მონელება, საკვები ადვილად გავრცელდება ჩვენი შინაგანი არსების თითოეულ ნაწილში – ეფეს. 3:16-17ა.
 - ბ) მოუნელებლობა ნიშნავს, რომ ქრისტეს, როგორც სულიერ საკვებს არ შეუძლია შემოადწიოს ჩვენს შინაგან არსებაში – ებრ. 3:12-13, 15; 4:2.
 - გ) ჩვენ უნდა შევინახოთ მთელი ჩვენი არსება მთელ ჩვენს შინაგან ნაწილებთან ერთად გახსნილი უფლისათვის, რათა სულიერმა საკვებმა თავისუფლად გაიაროს ჩვენში; თუ ჩვენ გავაკეთებთ ამას, ჩვენ გვექნება სათანადო მონელება და შეთვისება, ჩვენ შევიწოვთ ქრისტეს როგორც სულიერ საკვებს და ქრისტე გახდება ჩვენი შემადგენელი ელემენტი – კოლ. 3:4, 10-11.

7. ვინაიდან ჩვენ ვართ ისინი, რასაც ჩვენ ვჭამთ, თუ ჩვენ შევჭამთ ღმერთს როგორც ჩვენს საკვებს, ჩვენ ვიქნებით ერთი ღმერთთან და გავხდებით კიდევაც ღმერთი სიცოცხლითა და ბუნებით, მაგრამ არა ღვთაებაში – იოანე 1:1, 14; 6:32-33, 48, 51, 57.

II. „შენი სიტყვა მექცა სიხარულად და გულის მხიარულებად“ – იერ. 15:16:

- ა. მიუხედავად იმისა, რომ იერემია იტანჯებოდა უფრო მეტად, ვიდრე ყველა სხვა წინასწარმეტყველი, მის გულში იყო სიხარული და მხიარულება ყოველთვის, როდესაც ის პოულობდა ღმერთის სიტყვას და ჭამდა მას – მუხ. 16.
- ბ. სიტყვა „მექცა“ მე-16 მუხლში გულისხმობს, რომ სიხარული და მხიარულება არის იმის შედეგი, რომ ჩვენ ვჭამთ, გადავამუშავებთ, შევითვისებთ ღმერთის სიტყვებს და შევდგებით მისით ჩვენს შინაგან არსებაში, ნებას ვაძლევთ უფლის სიხარულს, რომ გახდეს ჩვენი სიხარული – იოანე 15:7, 10-11:
1. როდესაც ჩვენ ვჭამთ ღმერთის სიტყვებს, მისი სიტყვა ხდება სიხარული და მხიარულება ჩვენში გულის – იერ. 15:16.
 2. მას შემდეგ, რაც ჩვენ მივიღეთ ჩვენში ღმერთის სიტყვები და შევითვისეთ ისინი ჩვენი შინაგანი ნაწილებით, ეს სიტყვები ხდება სიხარული ჩვენ შიგნით და მხიარულება ჩვენ გარეთ.
- გ. ღმერთი არის სიხარულის ღმერთი, და მას უნდა, რომ ჩვენ დავტკბეთ მისით – ნეემ. 8:10; ფსალ. 36:8:
1. ღმერთის სიტყვაში გახსნილია ტკბილი აზრი იმის შესახებ, რომ ქრისტეში ღმერთმა მოგვცა ჩვენ თავისი თავი როგორც მადლი, რათა იყოს ჩვენი ტკბობა – იოანე 1:14, 16-17; 2 კორ. 13:14.
 2. პირველი ხსენებისას ბიბლიაში ღმერთის ადამიანთან ურთიერთობის შესახებ ღმერთმა წარუდგინა თავისი თავი ადამიანს საკვების სახით; აქედან ჩანს, რომ ღმერთს სურს მოგვცეს ჩვენ თავისი თავი იმ მიზნით, რომ იყოს ჩვენი ტკბობა – დაბ. 2:7, 9; ფსალ. 16:11; იერ. 15:16.
- დ. რომ. 14:17-ში საუბარია „წმიდა სულში სიხარულზე“:
1. ეს მუხლი გვიჩვენებს, რომ სული დაკაგშირებულია სიხარულთან; სიხარული არის სულის ერთ-ერთი თვისება – შდრ. 1 თეს. 1:6.
 2. სიხარული ასევე არის სულის ერთ-ერთი ნაყოფი; მორწმუნებში დაკვიდრებული სული აძლევს მათ სიხარულს – გალ. 5:22.
 3. როდესაც ჩვენ ვართ სულში, ჩვენ გვიხარია, იმდენად გვიხარია, რომ შეგვიძლია ვიმღეროთ და შევძახოთ, აღვავლინოთ ქება უფლისათვის – შდრ. საქმე. 16:25.
 4. ჩვენ შეგვიძლია გავიხაროთ „გამოუთქმელი სიხარულით და საგსე დიდებით“ – 1 პეტ. 1:8:
 - ა) სიხარული, საგსე დიდებით, – არის სიხარული, ჩაფლული უფალში როგორც დიდებაში; ამგვარად, ეს არის სიხარული, საგსე ღმერთის გამოხატულებით – საქმე. 7:2, 55; 1 პეტ. 5:10; 2 პეტ. 1:3.

ბ) ჩვენ გხარობთ სიხარულით, რომელიც ჩაძირულია დიდებაში – 1 პეტ. 1:8.

III. „უხვად დამკვიდრდეს ქრისტეს სიტყვა თქვენში“ – კოლ. 3:16:

- ა. ქრისტეს სიტყვა არის სიტყვა, რომელსაც ამბობს ქრისტე – იოანე 6:63:
1. თავის ახალი აღთქმისეულ სახლმშენებლობაში დმერთი ლაპარაკობს ძეში – ებრ. 1:1-2.
 2. მე ლაპარაკობს არა მარტო თვითონ სახარებებში, არამედ თავისი ასოების მეშვეობითაც – მოციქულებისა და წინასწარმეტყველების მეშვეობით – საქმეებში, წერილებსა და გამოცხადებაში; მთელი ეს ლაპარაკი შეიძლება ჩავთვალოთ მის სიტყვად.
 3. ქრისტეს სიტყვა მოიცავს თავის თავში მთელ ახალ აღთქმას და ჩვენ უნდა ავიგსოთ ამ სიტყვით – კოლ. 3:16.
- ბ. ქრისტეს სიტყვა – არსებითად, არის ქრისტეს პიროვნება – მუხ. 16; იოანე 15:4, 7:
1. პავლე საუბრობს ქრისტეს სიტყვაზე თითქმის ისე როგორც რადაც სულიერზე; ის გვეუბნება ჩვენ, რომ ნება მივცეთ ამ სიტყვას, რომ დამკვიდრდეს ჩვენში, თითქოს ის არის ცოცხალი პიროვნება – კოლ. 3:16; შდრ. ეფე. 3:17.
 2. პირველი, ჩვენ გვეავს ქრისტე როგორც ჩვენი სიცოცხლე; მეორე, ჩვენ გვაქვს მისი ცოცხალი სიტყვა, გაპიროვნებული როგორც მისი პიროვნება, რომელიც მკვიდრობს ჩვენში – კოლ. 3:4, 16.
 3. ვინაიდან ქრისტეს სიტყვას შეუძლია დამკვიდრდეს ჩვენში, ის, ეჭვგარეშეა, არის ცოცხალი პიროვნება; აქედან გამომდინარე, ის, რომ ჩვენ ნებას ვაძლევთ ქრისტეს სიტყვას დამკვიდრდეს ჩვენში, აღნიშნავს, რომ ჩვენ ნებას ვაძლევთ ცოცხალ პიროვნებას – თვით ქრისტეს – დამკვიდრდეს ჩვენში – მუხ. 16; 1:27.
- გ. ჩვენ ნება უნდა მივცეთ ქრისტეს სიტყვას, „უხვად დამკვიდრდეს ჩვენში და ქონდეს პირველი აღგილი ჩვენს არსებაში – 3:16:
1. სიტყვა „დაე“ არის მნიშვნელოვანი; ქრისტეს სიტყვა უავა გვაქვს ჩვენ, მაგრამ ჩვენ ნება უნდა მივცეთ მას, რომ იმოქმედოს ჩვენში.
 2. ის, რომ ქრისტეს სიტყვა უხვად მკვიდრობს ჩვენში, აღნიშნავს, რომ ის სახლდება ჩვენში, ცხოვრობს ჩვენში, უხვად – მუხ. 16.
 3. ბერძნული სიტყვა, ნათარგმნი როგორც „მკვიდრობს“, სიტყვა სიტყვით აღნიშნავს „იმყოფება სახლში“, „მკვიდრობს ჩვენში“, „სახლდება“:
 - ა) ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ ნება უნდა მივცეთ ქრისტეს სიტყვას, დამკვიდრდეს ჩვენში, დასახლდეს ჩვენში, მოიწყოს სახლი ჩვენში – მუხ. 16.
 - ბ) უფლის სიტყვას უნდა ჰქონდეს საქმარისი ადგილი ჩვენში, რათა იმოქმედოს და დაარიგოს ჩვენში ქრისტეს სიმდიდრე – ეფე. 3:8.
 4. ქრისტეს სიტყვას უნდა მივცეთ თავისუფლება, რომ იმოქმედოს ჩვენში, რომ დასახლდეს ჩვენში და მოიწყოს სახლი ჩვენში – კოლ. 3:16.

- დ. ჩვენ ნება უნდა მივცეთ ქრისტეს სიტყვას, რომ დამკვიდრდეს ჩვენში, რათა ჩვენ განვიცადოთ ფუნქციები დმერთის სიტყვის, რომელიც მოქმედებს ჩვენში, არიგებს ჩვენს არსებაში ქრისტეს სიმდიდრეს – ეფეს. 3:8:
1. ღმერთის სიტყვა გვანათებს (ფსალ. 119:105, 130), გვავებავს (მათე 4:4; 1 ტიმ. 4:6) და გვრწყავს ჩვენ, რათა მოკლას ჩვენი წყურვილი (ესაია 55:8-11).
 2. ღმერთის სიტყვა გვამაგრებს (1 ოთანე 2:14; ოგავ. 4:20-22), გვბანს (ეფეს. 5:26) და გვაშენებს ჩვენ (საქმე. 20:32).
 3. ღმერთის სიტყვა გვხდის ჩვენ სრულფასოვნებს, გვასრულყოფილებს (2 ტიმ. 3:15-17) და გვმოძლვრავს ჩვენ, ჩვენი გაწმიდანების მეშვეობით (ოთანე 17:17).
 4. ოუ ნებას მივცემთ ქრისტეს სიტყვას, რომ დასახლდეს ჩვენში, ჩვენ შევძლებთ, რომ გაგხდეთ ღმერთკაცი, რომელიც სავსეა ქრისტეთი როგორც ღმერთის ოვისებების სინამდვილით – კოლ. 3:16-21; ფილიპ. 4:5-8.